რედაქცია

განოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში, ამატუნის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „Дроэба", при типографіи Меликова.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.


# დროება


გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულის სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ, და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.



ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე"

მიიღება 1 მაისიდამ, რვა თვის ვადით, ფასი — — — 6 მან.
ექვსის თვით — — — 4 „ 50 კ.
სამის თვით — — — 2 „ 50 „
ერთის თვით — — — 1 „ „ „

მთელი წლის ნომრები მხოლოთ რამდენიმე ეგზემპლიარი დარჩენილა.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოიგზავნოს რედაქციაში.


# ტელეგრამმები

## ბრძოლის ველიდამ

**სოხა**, 10 მაისს. ადლერთან გაცხარებული ომია ათის საათიდამ დაწყებული შეუწყვეტელათ გვიშენენ ზარბაზნებს.

**ახალქალაქი**, 8 მაისს. არდაგანთან წართმეული ზარბაზნების რიცხვი თან-და-თან მატულობს და შეიძლება ასამდისინაც ავიდეს. 300-მდე მკვდარი ნახეს კიდევ, რომლებთა შორის ვიცანით ჩვენგან დატყვევებული შტაბის უფროსი და ბევრი შტაბ-აფიცრები. ჩვენის მხრით მოკლულების რიცხვი ცნობაშიდ მოყვანილია: 9. შტაბ. და ობერ აფიცერი მომკვდარა და 385 სალდათი.

**ბაიაზეთი**, 8 მაისს. ოსმალოს ატრიადი, რომელმაც ბაიაზეთზე იერიშით მოდგომა დააპირა, ისევ უკან გაბრუნდა, და ვანში დაბანაკდა.

**სოჩა**, 5 მაისს. მტრის ხომალდები ადლერს უშენენ ზარბაზნებს.

**იგდირი**, 8 მაისს. ვანის მხრით მტრის მალა შესდგება 3,500 კურდის ჯარით, 12,000 ბაშიბუზუკებით და 5 ბატალიონით, რომელთაც თან 7 ზარბაზანი აქვსთ. მტრის ჯარების რეგულიარული ნაწილი აპირებს კარა-კლისში, ვანის ჩრდილოეთის მხრით, გარდასვლას ხაშურთან და, ამ ნაირათ, ჰფიქრობს იქაურს ჯარებთან შეერთებას. ჩვენი ჯარები მიელ უოჩაღათ არიან.

**იგდირი**, 8 მაისს. 7 მაისს მტრის ჯარები სოფ. ბაგრთან მდ. სოუკ-სუზე იმყოფება. ჩვენი ატრიადიდამ იკვლევენ და პლანს იღებენ სურპ-ოღანესის დასავლეთის მხარეს.

**იგდირი**, 7 მაისს. გნ. ლტ. ტარგუკასოვმა, შეიტყო თუ არა, რომ ოსმალოებს ბაიაზეთზე მოდგომა უნდათო, 4 მაისს სოფ. სურპ-ოღანესიდამ გნ. მრ. თავ. ამილახვარი გაგზავნა იქ ერთის ატრიადით.

**ალექსანდროპოლი**, 7 მაისს. არდაგანთან მტრისაგან დატოვებული ზარბაზნების რიცხვი 60 კიარა 73. ამ რიცხვს რომ 4 მაისს წართმეული ზარბაზნებიც მივუმატოთ იქნება 82 ზარბაზანი. ამათ შორის ბევრი კარგი ხელობის კრუპპის ზარბაზნებია. — როდესაც დაახლოვებით გავსინჯეთ ოთხი უმთავრესი სიმაგრეები არდაგანისა, მათი განის სიდიდე საშინელი და მჭიდროთ ნაკეთები გამოდგა. აქ მოკლული თათრების რიცხვი, რომელთაც აქვე მარხვენ, ჯერ-ჯერობით 800. დატყვევებულები ამბობენ, რომ მიელ ბევრი ტკვარში გარდაცვივდნენ და დაირჩვენო. განკარგულება მოახთინეს, რომ ქალაქიდამ გაქცეული მცხოვრებლები ისევ უკან დააბრუნონ და თავათ ქალაქში და მთელ არდაგანის სანჯაკში რუსის მართებლობა დააწესონ.

**ბუხარესტი**, 6 მაისს. ტურტუკაისთან მდგარ ოსმალოს არტილერიასა და ოლტენიცთან რუმინიის არტელერიას შუა გაცხარებული სროლაა. ტურკუტაი იწვის. — ოსმალოებს ხმელეთზე გამოსვლა უნდოდათ, მაგრამ ვერ შესძლეს.

**ვენა**, 7 მაისს. რუსის ჯარები გადვიდნენ პატარა მდინ. ალუტაზე და ვიდრიას მახლობლად დაბანაკდნენ. — ამით შეშინებული ოსმალოები საჩქაროთ ბატარეების შენებას შეუდგნენ ტურნას წინააღმდეგ.

**ლონდონი**, 6 მაისს. ბერლინიდამ მოსული ტელეგრამმა ამბობს, რომ რუსის ჯარები ოსმალოების მოსატყუებლად, თოთხმეტს ალაგას გადავლენ დუნაიზეო.

**პარიჟი**, 5 მაისს. ჟულ-სიმანისაგან სამსახურის თავის დანებების შემდეგ, კაბინეთი შემდეგის პირებიდამ შესდგა: რჩევის თავმჯდომარე და იუსტიციის მინისტრი — ბროლი არის, შინაგანი საქმეების მინისტრად — ფურტუ, ხაზინის — კალიო და განათლების — ბრიუნე. უცხო ქვეყნების და სამხედრო მინისტრების სამსახური თავის დანებების თხოვნა არ მიუღია მაკ-მაჰონს.

**ვენა**. 9 (21) მაისს. რუმინიის მმართებლობამ გუშინ, 8 მაისს, თავის სათავადოს, ოსმალოს მფლობელობისაგან, დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

**რუმინიამ ოსმალოს ომი გამოუცხადა.**

**არდაგანი**, 8 მაისს როგორც სჩანს არდაგანი პირველ ხარისხოვანნი ციხეა. აქვს თერთმეტი საუცხოვო სიმაგრე ირგვლივ, რომელნიც გამაგრებულია 92 ახალი სისტემის ზარბაზნებით. დაასაფლავეს 1,500 (ათას ხუთასი) თათარი. ბათალიონები დაიხრჩვა მტკვარში. ფაშა სთვლის თათრის მხრით ზნიანს 4,000 კაცამდე (ოთხი ათასი) მეტს. დანაშთნები გაიქცნენ შიშისაგან.

ჩვენი გამარჯვება, რომ გვეგონა, იმაზედ მეტია.

ჩვენის მხრით ზნიანი 500 (ხუთას) კაცამდის ადის. გენერალ-ადიუტანტმა ლორის-მელიქოვმა მისცა მხარეს მოქალაქობრივი მმართველობა. დაჭერილი ალაგები გაყოფილია შემდეგ მაზრებათ: ფოცხოვის, ჭალდირის, ზემო და ქვემო არდაგანის, ზარიშამის, შურაგელის და კოლსუმანის. მაზრის მმართველათ დაინიშნა გენერალი პოპკო, რომელიც, ყირიმის ომის დროს, ყარსის ოკრუგის უფროსათ იყო, როცა მ. ტ. ლორის-მელიქოვი ყარსის მაზრას განაგებდა. უეზდების უფროსებათ არიან: მესხიევი, მეკიშოვი, სულხანოვი, ყარაგოზოვი, შაგუბათოვი და, დანაშთენი უეზდებისკი — იქაურები. მათთანავე დაინიშნენ საქმის მწარმოებელის და ჩაფრის ალაგები. სასამართლო დამყარებულია ხალხის ადგილობრივ ჩვეულებაზე. მეჯლისის (პრისუტსტვიე) წევრებათ ისევ ძველები დარჩნენ. დღეს კორპუსის კამანდირი მ. ტ. ლორის-მელიქოვი აჯილდოვებს, წმ. გიორგის ჯვრით, 250 კაცს., რომელთაც კი, არდაგანის შტურმაზე აღების დროს, თავი ისახელეს.

# ომის ამბავი

მკითხველმა იცის, რომ „თფილისის მოამბეს" ალექსანდროპოლის ატრიადში თავისი კორრესპონდენტი ჰყავს, რომელმანც ჩვენს გაზეთსაც შეჰპირდა ომის ველიდამ კორრესპონდენციების გზავნას. — სანამდისინ ჩვენ ეს დაპირებული კორრესპონდენციები არ მოგვსვლია, საჭიროთ დავინახეთ, ხსენებული კორრესპონტისაგან, „თფილისის მოამბისათვის" 2 მაისს გამოგზავნილი წერილიდამ ამოვიღოთ რამდენიმე ცნობა — არდაგანის სიმაგრისა და, საზოგადოთ, ამ უკანასკნელის გარშემო ალექსანდროპოლის ატრიადის მოქმედების შესახებ. ეს წერილი, საიდამაც ქვემო მოყვანილი ცნობები ამოგვაქვს, პირველი წერილია კორრესპონდენტის, შემდეგის სათაურით: „არდაგანის სიმაგრეების დავლა (რეკოგნოსციროვკა)". მოწერილია სოფ. ხევის-კარის ბანაკიდამ, რომელიც არდაგანზე სამხრეთით არის ყარსის გზაზედ. — აი, თავათ ეს კორრესპონდენციაც:

„არდაგანს შესანიშნავი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს თავისი მდებარეობით. ის იმყოფება იმ ადგილას, სადაც შეხვდებიან ერთი ერთმანეთს — ერთი ბათუმიდამ ყარსისაკენ და მეორეც ახალციხიდამ ოლტასაკენ მიმავალი გზები. ოსმა-

ლოს მმართებლობას უცვნია არდაგანის სტრატეგიული მნიშვნელობა და, ამიტომაც, მოუნდომებია იმისი კარგათ გამაგრება. ამ ჟამად, გარდა თავათ არდაგანის ციტადელისა, რომელიც წარსულს ომში (ყირიმის), სრულიათ უომოთ აიღეს, მთელი ქალაქის გარშემო შემოვლებულია საუცხოო, უანგარიშო სიმაგრეები და ცოტა მოშორებით წინა ფორტები აქვს აგებული."

ახალციხის ატრიადი, რომელსაც გენ. დეველი მიუძღვის, დიდი ხანია არდაგანთან დგას. ამ ატრიადის გასაძლიერებლათ და არდაგანის ერთბაშათ ბოლოს მოღებისათვის მომქმედი კორპუსიდამ მოაცილეს ერთი ატრიადი, რომელიც თავ. კორპუსის სარდალმა მ. ტ. ლორის-მელიქოვმა წამოიყვანა 28 აპრილს, ზაიმის ბანაკიდამ, ჭელაურზე და ომერ-ალაზე არდაგანისკენ. 1-ს მაისს ეს უკანასკნელი ატრიადი მოვიდა დანიშნულს ადგილზე. აქედამ კორპუსის სარდალმა, თავის შტაბისაგან მსურველთ თან ხლებით, იმ წამსვე გასწია არდაგანის ახლო-მახლო ადგილების დასავლელათ და დასათვალიერებლად."

„11 საათზედ, დილით მ. ტ. ლორის-მელიქოვი თავისი შტაბით, ერთი სოტნა თერგის კაზაკებით და ადგილობრივი მილიციის რამდენიმე კაცით, გამოვიდა სოფ. ზელგიალის ბანაკიდამ. ამ ბანაკიდამ მოყოლებული სულ მთიით მივდიოდით და თან მუდამ ბინოკლით შევსცქეროდით ზიულა-ვერდის სიმაგრეებს, რომელნიც გამწყრალათ დაგვყურებდნენ მაღლობიდამ. ჩვენ უმთავრეს მაღლობზე უნდა ავსულიყავით, და აქედამ მთელი არდაგანის სიმაგრეების მდებარეობა უნდა დაგვეთვალიერებინა."

„ქალაქი არდაგანი მდ. ტკვარის მშვენიერს ხეობაში არის გაშენებული. ამ ადგილას ტკვარი ვიწროთ მიმდინარეობს, რადგან გაღმა გამოღმა ორი, სამყოფათ მაღალი, მთები აქვს აყუდებული. ქალაქი ტკვარის მარცხენა მხარეზედ არის გაშენებული და ციტადელი კი აღმოსავლეთის მხრით აქვს. სადაც ჩვენ ვიდექით იქიდამ ჩანდნენ მარტო მცირედი ნაწილი ქალაქის და ციტადელისა. დანარჩენ ნაწილის სიმაგრეებით მოფენილი მაღლობები გვიფარავდა."

არდაგანის ირგვლივ, გარდა დასავლეთის მხრისა, პატარა მაღლობები არის, რომლებზედაც ოსმალოებს ფორტები გაუშენებიათ. ამ ფორტებიდამ კარგათ ვარჩევდით, მოჩანდნენ სხვა და სხვა ზომის ზარბაზნები. როგორც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გვიამბეს, წასულს ზამთარს, ყარსიდამ თორმეტი კრუპპის ზარბაზანი მოუტანინებიათ თურმე ყარსიდამ — „70 უღელი ხარ-კამბეჩითაო", როგორც ეს მცხოვრებლები გვარწმუნებდნენ."

„უმთავრესს სიმაგრეთ უეჭველად რამაზანის ფორტი უნდა ირიცხებოდეს, რომელიც არდაგანიდამ ჩრდილოეთის მხარეზეა და მაღლასეს მთაზე არის აშენებული. ეს ფორტი თავად ქალაქს და თითქმის ყველა დანარჩენ არდაგანის სიმაგრეებს დაჰყურებს: არდაგანიდამ ის სრულიად მიუდგომელია, რადგან მას მაღლას ეს მთა იფარებს. ერთ-ერთი მისასვლელი გზა ამ ფორტზე არის ბურტუნის მთიდამ, რომელიც ეხლაც თოვლით არის მოფარული, მაგრამ ეს გზაც დახშულია იმით, რომ ფორტს წინა პირი მთისკენ აქვს მიშვერილი და არა ქალაქისკენ. ლაპარაკი არ უნდა, რომ ოსმალებს ეს რამაზანის ფორტიც იმ განზრახვით აუშენებიათ, რომ რუსებისათვის მთ. მაღლასეს დაჭერა მოეშალათ."

„მაღლესეს მთის ძირში, სწორეთ ახალციხისკენ მიმავალს გზაზედ, არის აშენებული მეორე სიმაგრე— ყარა-ტაშ-ჩუხური, რომელიც თავად არდაგანის ციტადელიდამ 700 საჟენზეა დაშორებული. ყარა-ტაშ-ჩუხურზე უფრო ახლო ციტადელთან, მტკვარის მარცხენა მხარეზე, არის აშენებული ორი სიმაგრე, ყაია-ბაში 1 და 2 №№ ერთი იმათგანი 150 საჟენზეა ციტადელიდამ და მეორეც—250 საჟ.; ორთავე იმ მაღლობზეა აშენებული, რომელიც არდაგანს დაჰყურებს. ტკვრის მარჯვენა მხარეზე აგებულნი არიან: ახალი-ტაბია, ყაზ-ტაბასი და სიგნერის სიმაგრეები; სამივენი სამყოფათ მაღალს ადგილზედ არიან. ყველა ეს ფორტები და სიმაგრეები იცვავენ არდაგანს აღმოსავლეთიდ, სამხრეთიდ და ჩრდილოეთით. ამათ გარდა ტკვარის ხეობაში, ბარზედ აგებულნი არიან შემდეგნი სიმაგრეები: დიუზი, მეხრაბი და ყულიან-ჩაპრი, რომელნიც ბათუმსა და ოლტისაკენ მიმავალ გზას პატრონობენ. ტკვრის მარჯვენა მხარეზე, არდაგანიდამ აღმოსავლეთით, არის აგებული ორი ფორტი—ჩუმაყენი და ზიულია-ვერდი. ეს უკანასკნელი ფორტი დაჰყურებს არდაგანის ყველა ხეობებს აღმოსავლეთით, სამხრეთით და რამდენიმედ ჩრდილოეთის მხრითაც და აშენებულია იმისთანა თვალ უწვდენელ მაღლობზედ, რომელიც 15 ვერსიდამ ჩანს."

„მარჯვენა მხრის სიმაგრეებთ შორის უმახლობლესი 500 საჟ. იმყოფება არდაგანის ციტადელიდამ, უუშორესი და ამასთან ყველა სიმაგრეებზე უფრო შესანიშნავი—ზიულა-ვერდი, 4 ვერსზედ." —

„ჩვენი ჯარები არდაგანს, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, 20 აპრილს მიადგნენ. ახალციხის ატრიადმა კი (გენ. დეველი) ჩაგესტანში და ოლტენში გაშალა თავისი ბანაკი."

1-ს მაისს მოსული ატრიადი კი, რომელიც მომქმედი კორპუსიდამ გამოყოფილ იყო, დაბანაკდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით, ჯერ ბურდოსანთან და შემდეგ ალაგეში. ამ უკანასკნელი ბანაკით, არდაგანსა და ყარს შუა, მიმავალი გზა მოსჭრეს."

„1 მაისს მომქმედი არმიიდამ გამოყოფილი ატრიადის მოსვლის შემდეგ—თავათ მ. ტ. ლორის მელიქოვის წინამძღომლობით, ეს უკანასკნელი მოსვლისათანავე შეუდგა არდაგანის ახლო-მახლო ადგილების დავლას და დათვალიერებას. მას, სხვათა შორის, ახლდა—მისი კორპუსის შტაბის უფროსი ხ. მ. დუხავსკოი, მომქმედი კორპუსის ქვეითი ჯარის უფროსი, გ. მ. გეიმანი, კორპუსის ხირურგი ი. ი. მალინინი, გენ. შტაბ. პოლკოვნიკი პ. ფ. სემიონოვი და ბევრი სხვანი, რომელნიც კორპუსის შტაბს შეადგენენ."

„გენ. გეიმანი ხშირათ უკან გვრჩებოდა ხოლმე, რომ ახლო-მახლო ადგილები დაეთვალიერებია და ამას არ სცილდებოდა, ცხენოსანი დივიზიის უფროსი, გენ. მაიორ. შერემეტიევი.

„ჩვენ ავედით მაღლობზე, რომელიც ზიულა-ვერდის ფორტის პირდაპირ და 27 ვერსის მოშორებით იყო; როგორც ამაზე, ისე გარშემო მდებარე მაღლობზედაც ჯერ კიდევ თოვლი იდო."

„....ჩვენს პირდაპირ ზიულია-ვერდის მაღლობი იყო, რომელზედაც სიმაგრების კედლები, რამდენიმე ზარბაზნები და ცნობისმოყვარე თათრების გროვა მოჩანდა. ამ უმთავრესი მაღლობის წინ მეორე მაღლობი იყო, რომელზედაც ოსმალების სამხედრო საზოგადოება ჩანდა. ამათ გარდა შეიძლებოდა გაერჩია კაცს, ნამუშევარი, ნათხარი ადგილები, მაგრამ ზარბაზნები, თხრილები და ქვითკირის კედლები კი არსად მოჩანდნენ. კიდევ იმას იქით ჩრდილოეთით იყო მესამე მაღლობი, რომელზედაც კარვები და, იმათ შორის, სალდათების მოძრაობა ჩანდა. ყველაფერი ეს ისე ახლოს და ისე კარგათ გასარჩევი იყო ბინოკლებით, რომ მტრის თითქმის ყოველ გვარ მოძრაობას ვარჩევდით."

თითქმის ერთი საათი ვუცქეროდით და ვათვალიერებდით და თან ვკვირობდით ოსმალების დაღონებულს, თავ-მობეზრებულს მდგომარეობაზე: „რატომ არ გვესვრიან? ეს რას უნდა ნიშნავდეს? „აი, კითხვები, რომელთაც ყოველი ჩვენგანი წამ და უწუმ აძლევდა ხოლმე თავის თავს." —

ეს არის პირველი ნახევარ იმ კორრესპონდენციისა, რომლიდამაც ჩვენ ეს ამბავი გადმოვიღეთ. წერილის მეორე ნახევარში კორრესპონდენტი უფრო თავის პიროვნულ გრძნობებზე და შიშის გამოვლაზე ლაპარაკობს, რომელიც მას პირველი ზარბაზნის ხმაზე და ყუმბარის გასკდომაზე გამოუცდია.—ამ წერილის მეორე ნახევრიდამ მარტო იმ ადგილს წავაკითხებთ მკითხველებს, რომელიც გნ. გეიმანის სიმამაცეს შეეხება.—

დაუთვალიერებიათ რაც საჭირო და რისიც დათვალიერება შეიძლებოდა და ბოლოს ისევ უკან, ბანაკში დაბრუნებულან. დაბრუნებისას, როგორც კორრესპონდენტი ამბობს, მტერს მათთვის ორი ყუმბარა უთავაზებია. გენ. გეიმანი, თავის მხლებლებით, დანარჩენებს ცოტა უკან ჩამორჩენილა. ამ დროს, ერთი ამ ყუმბარებთაგანი მისი მხლებელის, ცხენის ზედ კუდთან დავარდება და გასკდება. „მე გადავწყვიტე, ამბობს კორრესპონდენტი, რომ გეიმანის მხლებლები უთუოთ მსხვერპლად შეიქნენ ამ გახეთქილი ყუმბარისა და მთელი ჩემი ყურადღება იმათკენ მივაპყარ, მაგრამ მე გეიმანის დანახვამ გამაკვირვა. სამყოფათ ახლოს ვიყავი მე იმაზე და ძრიელ ჩაჩერებითაც ვუცქიროდი, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ იმის სახის მეტყველებაზე მე ერთი უბრალო რამ ცვლილება ვერ შევნიშნე.—ტყუილა უკან არ მოუხედნია, რომ, რა არის, დაენახა—თუ რა შედეგი ჰქონდა ყუმბარის გასკდომას. მხოლოდ მისი ცხენი, როგორღაც, შეშინებულად შეინძრა, მაგრამ მხედარმა ლაგამი ამოჰკრა და ისევ ნელის ნაბიჯით წაიყვანა— თითქოს კიდევ მეორე ყუმბარას უცდისო."

## საქართველო

### დღიური

* * 7 მაისსი, როგორც ალტაცებით გაითენეს ქალაქელებმა, ისე ალტაცებით დაიღამეს კიდეც. საღამოს ექვსი საათიდამ, ვიდრე ღამის ათ საათამდე აქაურს ალექსანდროვის ბაღში მუზიკა უკრავდა და მთელი ბაღი ჩირაღდნებით იყო გაჩაღებული. ერთს გამოსაჩენს ადგილას მშვენიერის და სხვა და სხვა ფეროვანი ფარნებით შემკული იყო ხელმწიფის ვენზელი, რომლის გარშემო ეწერა: „6 მაისსი 1877 წ. არდაგანი".—ეს მხიარული საღამო შუშხუნებით დააბოლოვეს...

* * „ტფილისის მოამბე" გვატყობინებს, რომ ნუხის მაზრაში ავაზაკების ახალი ურდო შემდგარა, რომელიც გზაზე თავს დაცემია სუდის გამომძიებელს, შელდოროვს და პრისტავს ალაევს. ეს უკანასკნელი დაუჭრიათ კიდეც.

* * „კავკაზში" შემდეგ ამბავს ვკითხულობთ: „რადგან 1874—75 წელში ქუთაისის გიმნაზიაში მოსწავლე შეგირდებიდამ აღმოჩნდნენ მსურველი ბერძნული ენის სწავლისა, ამისათვის მისმა იმპერატორებითი უმაღლესობამ კავკაზიის ნამესტნიკმა მიიღო ნება, რომ ამ ხსენებული გიმნაზიის მეოთხე კლასში საცდელათ, დროებით შემოეღოთ ეს ენა. ეს დროებით შემოღებული ზომა, შემდეგ წლებში, თან-და-თან უფროს კლასებშიაც გაავრცელეს და, როგორც ნამდვილი ცნობებიდამ ჰჩანს დღეს მე 4, 5 და 6 კლასების 230 შეგირდიდამ, 76 სწავლობს ამ ენას, და ძრიელ ჩინებულადაც თურმე. რადგან ერთი რომ, ეს დროებით შემოღებული ზომა უსარგებლოთ არ დარჩენილა და, გარდა ამისა, რადგან ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთაც სთხოვეს ნამესტნიკს, რომ ბერძნული ენა ვალდებულ ენათ შემოეღოთ ქუთაისის გიმნაზიაში, ამისათვის საბოლოოთ გარდუწყვეტიათ, რომ ქუთაისის გიმნაზიაში ეს ბერძნული ენა ვალდებული ენათ შემოიღონ და, როგორც ნამდვილათ შევიტყეთ, ამ დღეებში კავკაზიის სამასწავლებლო კომიტეტში წარდგინება შეუტანიათ, რომ ეს ცვლილება ამ წლის 1 სექტემბრიდამ დაეწყოთ. გარდა ამისა, უნდათ უმაღლეს მმართებლობას სთხოვონ ნებათ, რომ ქუთაისის გიმნაზიის შეგირდებს, მარტო ერთი ძველის ლათინურს ენით 1880 წლამდინ კიდევ მიეცესთ ნება უნივერსიტეტში სწავლის მიღებისაო."

* * ამ ნომერში სიღნაღიდამ მოსულს კორრესპონდენციას წაიკითხავს მკითხველი, რომელშიაც ქიზიყელები საშინლათ უჩივიან უწვიმობას. ეს ამბავი დაბეჭდილი იყო გაზეთში, როდესაც ჩვენ, იმავე სიღნაღიდამ შეგვატყობინეს, რომ 23 და 24 წარსულს აპრილს, იქ ზოგ ალაგას, წვიმები ყოფილა. შეიძლება ამის შემდეგაც ყოფილიყოს ქიზიყში წვიმები, მაგრამ ჩვენ ისე გვიან მოგვდის იქიდამ გამოგზავნილი ამბები, რომ მგონი ავსტრალიიდამ გამოგზავნილს წერილსაც არ დაუგვიანდეს იმდენი.—საკვირველი ჩქარი და მარდი ფოჩტა არა გვყავს—მკითხველო?...

—

შეცდომა. „დროების" კვირის ნომერში, ახალქალაქიდამ მიღებულის ტელეგრამმაში, შეცდომით დაბეჭდილი იყო: „ეს გამარჯვება (არდაგანის აღება) გენ. ლეიტ. გეიდემანის წინამძღომლობით მოხდა." გენ. გეიდემანის მაგიერ, უნდა იყოს გენ. გეიმანი.

* * ჩვენ გვთხოვეს დავბეჭდოთ ქვემო-მოყვანილი ანგარიში იმ ქართული წარმოდგენებისა, რომელნიც ქართული სცენის მოყვარეთა, აქაურს საზაფხულო თეატრში, გამართეს წასრული აპრილის თვის 5-ს და 15-ს. როგორც მკითხველებს ემახსოვრება ორივეჯელ უ. გ. სუნდუკიანცის, სამ-მოქმედებიანი კომედია, „ხათაბალა" ითამაშეს.

რადგან შემთხვევა გვაქვს არ შე-

გვიძლიან არა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა საზოგადოთ იმ ფულების ანგარიშის დაბეჭდვის ანუ საქვეყნოთ გამოცხადების შესახებ, რომელიც კეთილ-მიზნისათვის გამართული წარმოდგენებიდამ იყო შეკრებილი.

საზოგადოებას ყოველთვის ნება აქვს მოითხოვოს ანგარიში იმ ფულისა, რომელიც მან რომელიმე სასარგებლო მიზნისა ანუ საქმისათვის გამოიღო. ესვე ითქმის, უეჭველია, იმ ფულის ანგარიშზედაც, რომელიც კეთილ-მიზნისათვის წარმოდგენიდამ შეუკრებიათ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საზოგადოებაზე უმალ და აუცილებლათ, ამ ფულის ანგარიში იმ პირებმა უნდა იცოდნენ, რომლის შემწეობით და შრომით ეს წარმოდგენები გაიმართა, ე. ი. თავათ სცენას მოყვარეთა. სამწუხაროთ, აქამდისინ ეს ძრიელ იშვიათად მომხდარა: უმალ ძრიელ ხშირად გაუმართავთ ხოლმე ქართული სცენის მოყვარეთა, რომელიმე კეთილ მიზნის სასარგებლოდ, წარმოდგენა, მაგრამ, მაგიერათ, ძრიელ იშვიათად შევხვედრივართ ხოლმე გამოცხადებულს ანგარიშს—თუ რამდენი გადარჩა ამა-და-ამ წარმოდგენის ხარჯს ნაღდი ფული, ან მოხმარდა ეს დარჩენილი ფული მართლა იმ საქმეს, რომლისათვის შეიკრიბა, თუ „უძრო ჭურმა“ შთანთქა, და სხვა.

სამწუხაროთ კარგათ გვახსოვს, რომ ამ გვარს უთავბოლობას ყოველთვის ის შედეგი ჰქონია, რომ, ჯერ ერთი მხრით, მოთამაშეებს საზოგადოების საყვედური დაუმსახურებიათ, რისიც მართლა ღირსი იყვნენ და მეორეთ, თავათ მოთამაშეებშიაც ჩხუბი და აყალ-მაყალი მომხდარა.

ჩვენ შეგვიძლიან დარწმუნებით ვსთქვათ, რომ მაშინდელი გამოჯავრებულთ, ბევრს სცენის მოყვარეთაგანს, დღესაც არ უნდათ მიიღონ მონაწილეობა კეთილი მიზნისათვის გამართულს წარმოდგენაში.

აი, მით უფრო დიდის სიამოვნებით ვბეჭდავთ ჩვენ ხსენებული 5-ს და 15 აპრილის ქართული სცენის მოყვარეთაგან გამართული წარმოდგენების ანგარიშს, რომლიდამაც მკითხველი დარწმუნდება, რომ ხარჯს გარდა დარჩენილი ფული ორივე წარმოდგენიდამ, რიცხვით 187 მან. სცენის მოყვარეთ გაუგზავნიათ დანიშნულებისამებრ პ—ში, რომლის დასამტკიცებლათაც მსურველისათვის ფოჩტამტის კვიტანცია, № 2, რედაქციაში იმყოფება.—ამასთან ვისურვებთ, რომ შემდეგი წარმოდგენების მოთავეებმაც ისე გაუძლვენ იმ ფულს, რომელიც კეთილი მიზნისათვის წარმოდგენიდამ დარჩება.—

აი ეს ხსენებული ანგარიშიც:—

ანგარიში 5 და 15 აპრილის, ქართული სცენის მოყვარეთაგან, გამართული წარმოდგენებისა:

**„ხათაბალა“**

ვმ. კონ. გ. ს უ ნ დ უ კ ი ა ნ ც ი ს ა.

ორთავე წარმოდგენისათვის გასყიდული ბილეთებიდამ შემოვიდა სულ—719 მან. და 70 კაპ. ამ ფულში 5 აპრილის—წარმოდგენისა არის—272 მან. და 80 კაპ. და 15 აპრილისაც—446 მან. და 90 კაპ.

ორთავე წარმოდგენაზე ხარჯი იყო სულ 497 მან. და 40 კაპ. ამ ფულში არის: 5 აპრილის წარმოდგენის ხარჯი—240 მან. და 70 კაპ. და 15 აპრილისაც—256 მან. და 70 კაპ.

სულ ხარჯს გარდა წმიდა შემოსავალი უნდა დარჩენილიყო — ოცდა ორი თუმანი, ორი მანეთი და ექვსი შაური (222 მან. 30 კაპ.), მაგრამ ამ ფულიდამ 35 მან. და 30 კაპ. (ბილეთების ფული) დარჩენილია ზოგიერთ პირებზე, რომელთაც ნისიათ აიღეს ბილეთები და დღესაც არ შემოუტანიათ.

დანარჩენი ნაღდი ფული კი, ამ 35 მან. და 30 კაპ. გარდა, ე. ი. თვრამეტი თუმანი და შვიდი (187) მან. გაეგზავნა ფოშტით (კვიტანცია № 2) პ—ში იმ პირს, რომლისთვისაც ეს წარმოდგენები იყო გამართული.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ქიზიყი**, აპრილის 22. უწვიმობისაგან, როგორც მუდამ, წელსაც შეწუხებულია ქიზიყელები. თუმცა ათასში ერთხელ მოვა ხოლმე წვრილი და არა ხანგრძლივი წვიმა, მაგრამ ამან რა უნდა უშველოს და როგორ უნდა გაამლოს ისეთი ფიცხი მიწა, რომ ერთ საათს რომ „კოკის პირსავით“ იწვიმოს, მეორე საათში ისევ გაქვავებულია მიწა! როგორც ყოველ წლიური ჩვეულებაა, სამღრთოები გახშირდა. მოვაჭრეები ცალკე იხდიან სამღრთოებს, სასულიერო წოდების პირნი-ცალკე, დედაკაცები და ქალები-ცალ-ცალკე, ყმაწვილებიც ცალკე; წმ. იაკობის წყალიც მოიტანეს.... შესანიშნავია, რომ ვოველთვის‘ გადაიხდიან თუარა სალმრთოს, უნდა მოვიდეს, ცოტა მაინც, წვიმა!

საზოგადოთ რო ვსთქვათ, მოსავალს ჯერ-ჯერობით ძრიელ არ ემდურებიან. მარტმა თავის სუსხი იგრე რიგათ არ გამოჩინა! აპრილი ვარიანი დადგა, თუმცა უწვიმო და ხანდისხან ქარიანი იყო, მაგრამ, თუამ თვეში რიგიანი წვიმები არ იქნება, საექვოა—კარგი მოსავალი.... ქურდობის და ავაზაკობისა რა მოგახსენოთ, დაკვირვება არა მაქვს. აღდგომის დღეებში დიდი ძებნა იყო ვილაც სამი ოსმალოებისა, რომლებთაც თურმე ვაენურათ ჩაეცვათ და აქა-იქა დაძვრებოდნენ. ერთი მათგანს „პომპოლიკის“ ტანისამოსი ეცვაო, ტანათ პატარა არისო, მაგრამ ისეთი ყოჩაღი, რომ შვიდ კაცს ქვეშ მოიქცევსო. აღდგომა და მეორე დღე არცკი გაუგიათ, როდის იყო, პოლიციის ვსადნიკებსა და ურადნიკებს, მაგრამ „ასავალ-დასავალიც ვერ გაუგეს.

თეოფ. ქანდელაკი

ქიზიყი აპრილის 13-ს.

**დ. საჩხერე**, 29-ს აპრილს.

ხუცესი უნდა მამაცი, არ თუ ჯაბანი მხთალია.<br>
ხუცესს არ ეთქმის: „ჭირშიგან ვერ შევალ, სარიდალია.“<br>
ხუცესმან უნდა დამარხოს, თუ კაცმან სული დალია,<br>
და ხუცესიც ბევრს რიგს დააკლებს, თუ მეტი ღვინო დალია.

დავით გურამიშვილი.

ამ ჟამად ჩვენ პატარა დაბა საჩხერეში დიდი ბაასი არის ომიანობაზედ. ყველა ამ ომის დაწყების თაობაზედ თავისებურად ჰსჯის.

ერთმა სომეხმა მიამბო მიზეზი, რომ ჩვენი კათალიკოზი სადილათ დაეპატიჟა ხვანთქარსო და კურდღლის ხორცი აჭმია ვეზირსო. ამაზედ ჩვენ ხელმწიფესთან ეჩივლა კათალიკოზს და რუსს ხელმწიფემ ომი გამოუცხადაო; ვეზირს სომხების შეშინებოდა და გაქცეულა სტამბოლიდანო.

ურიები კი სხვა ნაირათ ამბობენ. ჩვენი დიდი რაბინი და ხვანთქარი შელაპარაკებულიყვნენ რჯულზედ და ხვანთქარს, სიტყვით რომ ვერ ეჯობნა, ყბაში შემოეკრაო. ამაზედ ურიებს ეჩივლოს რომშილთან და იმასაც მოეწეროს წიგნი რუსს ხელმწიფისათვის: „ოღონდ თათარს ნუ გაახარებ და ხარჯი ჩემი იყოსო.

ერთმა გლეხმა-კაცმა თქვა: თათრებს ერთი ქრისტიანი დედის-ერთა დაუკლამთ და დედისთვის შეუჭმევიათ შვილი და რუსს ხელმწიფეს რომ ეს გაუგია, ომი გამოუცხადებიაო.

ერთმა მოხუცმა ამაზედ სთქვა:“—სუყველა ტყუილია, ქვეყანა წახთა, მღვდელი მღვდელს აღარა გავს და ერი ერს, და, რასაკვირველია, ომი იქნება! ომი კი არა, ნამეტანიც რომ დაგვემართოს, ახიაო. ეხლა რომ მღვდელმა საქმე ქნა, სადა მერე! წერეთლების ოჯახში, და მათმა კარის მწირველმა, სხვა რაღას იზამს სოფელში და, რა გასაკვირველია, ომი მოხდეს?! გუშინ წინ, ბატონო, საწყალ თ. ს. წ. ორმოცი გადაიხადეს. ქართლიდან სატირლათ მოვიდენ სიმამრი თ. გ. ც. და ცოლის ძმა თ. ვ. ც. ცოლით, ცოლის დაა და ქვისლი თ. ვ. ორმოცი გაათავეს თუ არა, თ. ვოს. გადუბრუნდა შვილი და მოუკვდა; რომ დაასაფლავა ეს ყმაწვილი მღვდელმა, დაბრუნდნენ მასპინძლის სახლში, შევიდენ ოთახში, ნახეს თ. ვ. ც. შეწუხებული ლოგინზედ პირქვე ემხო. დიაკონს მძინარი ეგონა და უთხრა მღვდელს: „ძალიან არ გალეშილა ეს ქართველი ღვინითო!“ მერმე მღვდელმა უთხრა: „ეხლა რომ კაცმა ამას ცოლი წაართვას, ხომ ვერ გაიგებს!“ წამოვარდა თ. ც., სტაცა ხელი ამ ღვდელს და სცემა იმოდენი, სანამ გული არ იჯერა და დაანება თავი.

„—უწინდელ დროში ან მღვდელი როგორ იტყოდა ამას და ან ცემას ვინ გაუბედავდა! ისე ჭამა არ იქნებოდა, მეჯლიში, რომ მღვდელი არ დასწრებოდეს და სუფრა არ ეკურთხებიოს. და რას გაჰგკვირებიათ, ომი კი არა, ჟამიც რომ გაჩნდეს!

სხვებმა კითხეს: ალბათ დამთვრალი ყოფილა ის მღვდელიც და პრიჩეტნიკიცო.

— საქმეც ეგ არის, რომ სუყოველ დღე მთვრალია, და ფხიზელი როდის გინახავს! უთხრა მოხუცმა.

— რა ვქნა, ბლაღოჩინი რას შვრება? კითხავენ.

— მაშინ დაიქცა იმერეთი, როდესაც ბლაღოჩინების კენჭით ამორჩევა გაჩნდა; ეშინიანთ შავი არ ჩაგვიგდოსო შავშიო და ყველაფრის ნებას აძლევენ მღვდელს. აი, ბეჩა, როგორ გაბედავდა მღვდელი ამას მიტროპოლიტისსობას. ღმერთო შენი სახელი დაილოცა!“

აი, ამ ნაირი მსჯელობა აქვთ ეხლა აქ ამ ომიანობის თაობაზედ.

.ს—ი

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

ხ ვ ა ნ თ ქ რ ი ს, ა ბ დ უ ლ - ჰ ა მ ი დ ი ს მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი, მ ი მ ა რ თ უ ლ ი თ ა ვ ი ს ქ ვ ე შ ე ვ რ დ ო მ ე ბ თ ა ნ, ე ვ რ ო პ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ თ ა ნ დ ა, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ, რ უ ს ე თ ი ს ი მ პ ე რ ა ტ ო რ ი ს მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი ს პ ა ს უ ხ ა თ.

„გამოუცხადა თუ არა რუსეთმა ომი ოთთომანის იმპერიას, მან თავისი მტრული ქცევით და შემოცვივნით ჩვენს მცირე-აზიის პროვინციებში და სამთავროში (რუმინია)—რომელიც შეადგენს ხვანთქრის სამფლობელოს განუყოფელ ნაწილს, რუსეთმა, დაამყარ პოლი ტიკური დახლართულება და დაუდგრომლობა,—რომელნიც, აგერ თითქმის ორი წელიწადია, აღმოსავლეთს აღელვებდნენ—სამწუხარო შედეგამდე [illegible]

ევროპა, რომელნიც [illegible] თარის მშვიდობიანობის და კაცთ მოყვარეობის დასაცველათ ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა, რომ რამ ნაირათ აეცდინოს ქვეყანას ეს მრისხანე მოვლენა, გამოიკვლევს ამ გვარი მისი შრომის დაუბოლოებლობის მიზეზს და გარდასწყვეტს—რომელ სახელმწიფოს უნდა დააწვეს პასუხის გება ომიანობის და მისი ცუდი შედეგების.

თავის მხრით ხვანთქრის მმართებლობა ვალდებულია წარუდგინოს თავის ხალხებს და მეგობარ სახელმწიფოებს ნამდვილი ჰაზრი თავისი მოქმედების და პოლიტიკური მიმოსვლელობისა რომელთაც, 1875 წლის განმავალობაში ამ მდგომარეობამდი მიაღწევდნენ. ოსმალეთის ორი პროვინცია, გარეშედამ მოსული რევოლიუციონერ მქადაგებლებიდამ შეგონებული, — საქვეყნოთ აჯანყდა, ხვანთქრის კანონიერ უფლების წინაამდეგ—და ბოროტება,—რომელიც წარმოსდგა პონსლავიურ აჯანყებულ საზოგადოების განხრწნად გავლენიდამ, მძვინვარეთ აპირებდა სხვა პროვინციებშიაც გავრცელებას, რომ უბედურება და განადგურება შეეტანა ოსმალეთის მშვიდობიან მცხოვრებლებში.

ორჯელ იხმარეს მეგობარ სახელმწიფოებმა ყოველი ღონის-ძიება დააწყნარონ ეს აჯანყებული პროვინციები: პირველათ, კონსულების შუამავლობით, მაგრამ სლავიანთ შეთქმულების წინამძღომელებმა აძაგებით შეხვდეს ევროპის სურვილს და წინადადებას; მეორეთ, ვენის კაბინეთის რეფორმების პროგრამმის საშუალობით, მაგრამ აჯანყებულებმა აქაც უარი ჰყვეს.

ქვეყნისა და ოსმალეთის მშვიდობიანობის დასაცველათ ხვანთქრის მმართებლობა იძულებული იყო დაექენჯნა აჯანყებულები, დაეცვა ოსმალეთის, შეუხებლობა და ამ გვარათ, ეეცდინა ევროპა იმ განსაცდელს, რომელსაც უმზადებდა მას აღმოსავლეთი....

სათათრეთმა აასრულა თავისი მოვალეობა ერთის მხრით, და მეორეს მხრით—რომ გაასწოროს თავისი წარსული შეცდომები—იმპერატორმა მისცა ოსმალეთს კონსტიტუცია, იმ გვარი, როგორიც ეკადრება ევროპის განათლებულ ქვეყნებს.

ევროპას არ დაუკარგავს იმედი თავის მშვიდობიანობის დასაცველათ და დარწმუნებული იყო, რომ ხვანთქრის მმართებლობა მას არას კეთილ-განზრახვაში არ ეწინააღმდეგებოდა და მისთვისაც შეიკრიბნენ სტამბოლში კონფერენციაზე ყველა წარჩინებულ სახელმწიფოების წარმომადგენლები, რომ ბოლო მოუღონ ამ გვარ განუსაზღვრელ მდგომარეობას.

ამ კონფერენციის შედეგი ყველასთვის ცხადია. წარჩინებულ სახელმწიფოებმა ერთმანერთში მოლაპარაკების, შემდეგ ოსმალეთის უცნობათ, შემოიტანეს კონფერენციის პროგრამმაში ისეთი კითხვები, რომელნიც ინგლისის წინანადებას ეწინააღმდეგებოდენ. მაგრამ ოსმალეთის მართებლობა ამაზედაც დათანახმდა. თუ რომელიმე კითხვებზე ოსმალეთის მმართებლობა არ დაეთანხმა კონფერენციაში მყოფ ევროპის წარმომადგენელებს, ეს მისთვის, რომ ევროპამ ერთობ მეტი მოითხოვა, მოითხოვა ის, რაციყო დამარღვეველი და გამქრობი ოსმალეთის ერ-

თობის შეუხებლობის და მაშასადამე არსებობის; ეს არის ძვირფასი ხალხთა-შორისი სამართლის დარღვევა და ფორმალური დახევა 1856 წლის ტრაქტატის, რომლითაც ეკრძალება ტრაქტატზე ყველა ხელმომწერ სახელმწიფოებს, შეეხონ ოსმალეთის შინაგან ადმინისტრაციას.

ჩვენ ვიხმართ ყოველი ღონისძიება მოგვეხდინა მშვიდობიანობა სერბიას, ჩერნოგორიას და ჩვენ შუა. სერბიასთან მოვათავეთ, მაგრამ ჩერნოგორიამ თავისი არ მოიშალა. რუსეთმა, მის ნაცვლად, რომ მონაწილეობა მიეღო მშვიდობიანობის მოხდენაში, სრულიად სხვა გზას დაადგა და აი, აქედამ წარმოსდგა ის ლონდონის პროტოკოლი, სხვა სახელმწიფოებისაგან გარდაწყვეტილი და ხელ-მოწერილი ხვანთქრის უცნობაბათ. ამ გვარ გარდაწყვეტილებაზე, რასაკვირველია, არც ერთი მმართველობა,—რომელიც კი თავის პატივსა და თავისუფლებას აფასებს,—არ დათანხმდებოდა.

რუსეთმა, ყველა ამით საშუალების შემდეგ, რომ დაასუსტოს და დაამდაბლოს ოსმალეთი, მიჰყო ხელი იარაღს, რომ თავის პატივმოყვარული პოლიტიკა დააკმაყოფილოს, მაგრამ ის შეხვდება ხალხს ალჭურვილს თავის სამშობლოს, სახელმწიფოს და ხელმწიფის დასაცველათ.

საჭიროა, როგორც უნდა გათავდეს ომი, რომ ევროპამ, მთელმა ქვეყანამ, შეიტყოს ჭეშმარიტება; საჭიროა, რომ მთელმა ოსმალეთმა იცოდეს მიზეზი ომ ტანჯვის, რომელიც ოსმალეთს დაატყდება და კვლავ მოელის. საჭიროა, იცოდეს ყველამ, რომ გამარჯვების, თუ დამარცხების შემდეგ, ოსმალეთი განთავისუფლებული იყოს იმ მოვალეობიდამ, რომელიც ამ ომს მოჰყვება.

ჩვენ ვამბობთ საქვეყნოთ, რომ ბოსნიის, ჰერცოგოვინის და ბოლგარიის მცხოვრებლები, რომელნიც აჯანყდენ პანსლავიურ კომიტეტის შეგონებით, იმ კომიტეტის, რომელსაც ყოველ შემწეობას როგორც ფულით აგრეთვე სხვა ხერხებით, რუსეთის მმართებლობა აძლევდა,—რომ ჩერნოგორია და სერბია, თუ აჯანყდა —მხოლოდ მისთვის, რომ ისინი იყვნენ რუსეთისგან შეგონებულნი,—რომ იმათ მხოლოთ რუსეთის შემწეობით შეეძლოთ ომის გაგრძელება, —რომ ყველა ეს მოხდა რუსეთის ცხად, თუ საიდუმლო მოქმედებით. იცოდეს მრთელმა ქვეყანამ, რომ ეხლანდელი ხალხების სისხლის ფრქვევა სულ რუსეთის ბრალია.

რუსეთი ბედავს კიდევ იმის წარმოთქმას, რომ ვითომ ის ალიჭურვა ქრისტიანების უფლების დასაცველათ მაშინ, როცა ჩვენი ყოვლად ვრცელი კონსტიტუცია,—როგორიც კი შეიძლება თავისუფალ ქვეყნისთვის,—აცხადებს თავისუფლებას და ერთობას ოსმალოს ყველა ქვეშევრდომებში ხალხის, ტომობის განურჩევლათ. რუსეთმა დაარღვია მე 8 სტატია პარიჟის ტრაქტატისა; რუსეთმა 12 აპრილს ომი გამოუცხადა ოსმალეთს და წინალამით კი (11 აპრილს) შამოგვესია ჩვენს მამულში, მტრულათ.

ისტორია აღნიშნავს თავის გვერდებზე ამ წარმოუდგენელ ფაქტს, ისტორია არ დაივიწყებს მას, რომ ამ საუკუნეში, რომელიც არის საუკუნე განათლების, ცივილიზაციის და სამართლიანობის, დიდმა რუსეთმა შემოვიდა მეზობელ სახელმწიფოში იარაღით და ცეცხლით მისთვის, რომ ოსმალომ დაიცვას ხალხთა შორისი მოვალეობა და რუსეთმა კი დაარღვიოს როგორც ეს მოვალეობა, აგრეთვე, ოსმალეთის შინაგან დაწყობილების შეუხებლობა და, ამას გარდა, მისი ხალხის და ხელმწიფის პატიოსნება და ღირსება.—ამ უძვირფასეს უფლების დასაცველათ და რუსეთის მანქანურ ბოროტების გასადევნელათ მრთელი ოსმალოს ჯარი შეხვდება მას პირის-პირ სასიკვდილოთ, ან სასიცოცხლოთ.

მრთელი ხალხი დარწმუნებულია თავის სამართლიანურ მოქმედებაში და ამისთვის არ ზოგავს არავითარს მსხვერპლს, არავითარ ტანჯვას და მზათ არის იბრძოლოს და კიდევაც მოკვდეს—თუ გარემოება ამას მოითხოვს,—თავის თავისუფლების დასაცველათ.

„გაუმარჯოს სამართლიანობას! ზეგარდამო განგება იყოს ამის შემწე!“

# განცხადებანი

ბეჭდიდგან გამოვიდა და ისყიდება
მეხუთე კარი
## „ყარამანიანი“
სოლოლაკზე ს. გ. მელიქიშვილის სტამბაში; პუკის ხიდზედ ვართანოვის სწიგნო მაღაზიაში.
ფასი 40 კაპ.

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათვყოფობისათვის:
ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11 მდინ—დოქტორი ანანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12-მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის.
ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ანანოვის

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში —50 კაპ. ცალკე ოთახებში კი დღეში— 1 მანეთი.

## თფილისის სამკურნალო
(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი მინკიევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შიაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავაფმყოფი. ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობისა.

## მეიჯარადრე ქალაქის ცხენების გადასახადისა

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი ხაჩიკ აბაზის ძე აბაზოვი ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ ვისაც თავის საკუთარის საჭიროებისათვის ჰყავთ ეკიპაჟის ცხენები, აგრეთვე საბიჟრო ფაეტონებისა და დროშკების ცხენები და ტვირთის გადატანისათვის, უნდა შემოიტანონ ჩემს კანტორაში გადასახადი, იმ კანტრაქტის ძალით, რომელითაც თფილისი ქალაქის გამგეობა შემეკრა მე ამ თებერვლის 11-ს სამის წლის ვადით, ე. ი. ამ 1877 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1880 წ. 1 იანვრამდე.

ჩემი კანტორა იმყოფება მე-6 უჩაშტკაში, 1 განყოფილებაში თავად ბებუთოვის სახლებში, თათრის მოედანზე, საიდამაც ჩემგნით დაყენებულის, პირისაგან (პოვერენისაგან) მიიღებს ფულების შემოტანის კვიტანციას ჩემ ხელმოწერილს. ჩემი კანტორა გახსნილია დილის 8 საათიდამ საღამოს 5 საათამდინ.

გამოვიდა ახალი ქართული წიგნი
**მზით-უნახავი ქალი**
ისყიდება ენფიანჯიანცის წიგნის მაღაზიაში
ფასი 5 კოპ.


LA VELOUTINE
(ველუტინი)
ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილო), ბისმუტით გაკეთებული.
ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.
კანს ეკვრება და არა სჩანს.
შ. ფაი—გამომგონი
—
pommade satin
(ატლასის პომადა)
ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.
9, Rue de la Paix, Paris
156—131


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.
სტამბოლს—კვირაობით, დილას.
ბ) ოდესსიდამ:
ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

## ფოშტა

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს —ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:
თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს —ოთხშაბ.

გ) გორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 29 აპრილს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 3½ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 271 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7½ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 94 | — |
| მოგებიანი (პირველი სესხი) | 188 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 184 | 25 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | -- |
| ხერსონის ბანკის (5½) | 79 | — |
| მოსკოვის (5%). . . | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 497 | — |
| კავკასის და მერკურის. . | 185 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 712 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 265 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 7 მაისს | | |
| პური შორაგალის ფთ. | 1 | 80 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 95 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 60 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 20 |
| ბაპენტილი ბამბა ფთ. | 7 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | 70 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | — |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 3 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 11 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 90 |
| სპირტი, ვედრო. . . | 8 | — |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | 50 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 5 | 40 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 30 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 7 | 47 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Мая 1877 г. Типографія Меликова
გამომცემელი ს. მელიქიშვილი [რედაქტორი ს. მესხი.